

2024

კომპანია:

შპს ჯორჯიან

ფუდ

ქორფორეიშენი

აუდიტორი: შპს

ქროუ ჯი

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის.....	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ	14
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	15
7. ფინანსური აქტივები	15
8. მარაგები.....	15
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	16
11. ამონაგები.....	16
12. სხვა შემოსავლები	17
13. მიწოდების ხარჯები.....	17
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
15. სხვა ხარჯები	17
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება.....	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენის მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 16 აგვისტოს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2023 წლის დასაწყისში და დასასრულს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციებს. ვერ დავრწმუნდით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თეიმურაზ ფარცხალაძე.

თეიმურაზ ფარცხალაძე
მმართველი პარტნიორი,
„შპს ქოლუ ჯი“

აქსის ბიზნეს ცენტრი, მე4 სართული
დ. გამრეკელის ქ. 2, 0160 თბილისი, საქართველო
17 დეკემბერი 2024



შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების	5	3,682	1,621
ეკვივალენტები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,297,565	3,231,522
ფინანსური აქტივები	7	395,000	-
მარაგები	8	2,416,408	1,397,248
საგადასახადო აქტივები		81,982	312,654
		6,194,637	4,943,045
მთლიანი აქტივები		6,194,637	4,943,045
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,166,608	4,044,530
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი	10	2,151,520	-
პროცენტი			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		430	798
		5,318,558	4,045,328
მთლიანი ვალდებულებები		5,318,558	4,045,328
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი		876,079	897,717
ზარალი)			
		876,079	897,717
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,194,637	4,943,045

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბრის

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განმარტებას



შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	23,921,562	17,143,988
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(23,324,839)	(16,362,896)
საერთო მოგება		596,723	781,092
სხვა შემოსავლები	12	468,147	8,317
მიწოდების ხარჯები	13	(21,398)	(6,976)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(261,214)	(113,990)
სხვა ხარჯები	15	(412,079)	(63,942)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა		(287,188)	65,325
საოპერაციო მოგება		82,991	669,826
ფინანსური დანახარჯები	10	(104,629)	(119,033)
მოგება დაბეგვრამდე		(21,638)	550,793
პერიოდის მოგება		(21,638)	550,793

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბრის

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განმარტებას



შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	25,970,253	21,267,920
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	23,264	972
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(23,023,213)	(16,748,124)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(69,010)	(42,360)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(4,360,839)	(3,489,625)
სხვა საოპერაციო ფულადი გასავლები	(111,245)	(81,636)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,570,790)	907,147
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(695,000)	-
გაცემული სესხის ამოღება	300,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(395,000)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	3,171,960	90,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(1,072,937)	(859,000)
გადახდილი პროცენტები	(104,629)	(129,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,994,394	(898,000)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	28,604	9,147
არარეალიზებული მოგება/ზარალი		
კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(26,543)	(9,663)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1,621	2,137
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	3,682	1,621

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბრის

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს



შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021	346,924	346,924
კაპიტალის ზრდა	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-
პერიოდის მოგება	550,793	550,793
გაცემული დივიდენდი	-	-
ნაშთი 31.12.2022	897,717	897,717
კაპიტალის ზრდა	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-
პერიოდის მოგება	(21,638)	(21,638)
გაცემული დივიდენდი	-	-
ნაშთი 31.12.2023	876,079	876,079

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი



თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ფულ ქორფორეიშენი (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2020 წლის 29 მაისს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს გუდვილ ინვესტი, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ლეილა ქავთარაძე.

შპს ჯორჯიან ფულ ქორფორეიშენის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქ., N31, ბ.9.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

შპს ჯორჯიან ფულ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან და გაცემული სესხებისგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმომდგომი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა

გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზს. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

უიმედო ვალეების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,359	192
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,323	1,429
სულ	3,682	1,621

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,383,924	2,651,946
გაცემული ავანსები	637,641	579,553
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	276,000	23
სულ	3,297,565	3,231,522

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული (2022 წელს 0 ლარი).

7. ფინანსური აქტივები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხები (შენიშვნა 16)	395,000	-
სულ	395,000	-

გაცემული სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9%, სესხების დაფარვის ვადა მეტია 12 თვეზე.

სესხები არ არის უზრუნველყოფილი და არ არის გაუფასურებული.

8. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	613,591	385,940
საქონელი გზაში	1,802,277	1,011,308
სხვა მარაგები	540	-
სულ	2,416,408	1,397,248

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 23,324,839 ლარი (2022 წელს 16,362,896 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

კომპანიის არსებული და მომავალი მარაგები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,726,785	828,656
მიღებული ავანსები	439,823	3,215,874
სულ	3,166,608	4,044,530

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები		
მოკლევადიანი სესხები	2,151,520	-
სულ მოკლევადიანი სესხები	2,151,520	-
სულ სესხები	2,151,520	-

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია დოლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8%, სესხების დაფარვის ვადა ნაკლებია 12 თვეზე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მარაგებით და არსებული და მომავალი მოძრავი ქონებით და არამატერიალური აქტივებით, აგრეთვე დამფუძნებლის ოჯახის წევრების და კომპანიის დაკავშირებული მხარეების უძრავი ქონებით (მიწა და შენობები) და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(104,629)	(119,033)
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(104,629)	(119,033)

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	23,921,562	17,143,988
სულ	23,921,562	17,143,988

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

12. სხვა შემოსავლები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	13,792	8,317
შემოსავალი ავტომობილების მიწოდებიდან	454,355	-
სულ	468,147	8,317

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
საიჯარო ქირა	(21,367)	(6,854)
ტრანსპორტირების ხარჯები	(31)	(122)
სულ	(21,398)	(6,976)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	(110,306)	(68,767)
მიწოდების ხარჯები	(84,425)	(14,589)
საწვავის ხარჯი	(803)	-
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	(5,455)	(2,962)
დაზღვევის ხარჯები	(159)	-
რემონტის ხარჯები	(1,610)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(16,175)	(12,705)
საბანკო ხარჯები	(25,198)	(13,765)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(13,350)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(3,733)	(1,202)
სულ	(261,214)	(113,990)

15. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
მიწოდებული ავტომობილების თვითღირებულება	(386,979)	-
ჯარიმა და საურავი	(8,909)	(8,665)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(16,191)	(55,277)
სულ	(412,079)	(63,942)

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს გუდვილ ინვესტი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ლეილა ქავთარაძე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლის ოჯახის წევრების და კომპანიის დაკავშირებული მხარეების უძრავი ქონებით (მიწა და შენობები) და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ანგარიშგების მუხლი	2023 წელი	2022 წელი
<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>			
მომსახურების მიღება	მარაგები	1,299,687	1,076,599
საქონლის მიწოდება	ამონაგები	4,119,789	5,442,039
<i>ჯგუფის კომპანიები</i>			
საქონლის მიწოდება	ამონაგები	19,801,774	11,636,620
ავტომობილების მიწოდება	სხვა შემოსავალი	454,355	-

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ანგარიშგების მუხლი	31.12.2023	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>			
სავაჭრო მოთხოვნა	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,383,924	2,651,946
გადახდილი ავანსი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	11,304
სავაჭრო ვალდებულება	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	275,918	-

ჯგუფის კომპანიები

მიღებული ავანსი სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 439,823 3,215,875
სხვა დაკავშირებულ მხარეებს აკონტროლებენ კომპანიის დამფუძნებლის ოჯახის წევრები და ახლობლები.

დაკავშირებული მხარეებისგან ხდება სატრანსპორტო მომსახურების შემენა. დაკავშირებულ მხარეებთან ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეზე ხდება საქონლის მიწოდება. დაკავშირებულ მხარესთან მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული მოთხოვნების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებულ მხარისგან მიღებული სესხი:</i>		
საწყისი ნაშთი	-	895,647
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-	124,720
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(856,890)
დარიცხული პროცენტი	-	99,251
გადახდილი პროცენტი	-	(262,728)
საბოლოო ნაშთი	-	-

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დაკავშირებული მხარეებისგან სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 24%-ს წლიურად. სესხების დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი:</i>		
საწყისი ნაშთი	-	-
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	695,000	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(300,000)	-
დარიცხული პროცენტი	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
საბოლოო ნაშთი	395,000	-

გაცემული სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9%, სესხების დაფარვის ვადა მეტია 12 თვეზე. სესხები არ არის უზრუნველყოფილი და არ არის გაუფასურებული.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე ანაზღაურება არ გაცემულა.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ შეიძინა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებები, კერძოდ 549,140 ლარის სატრანსპორტო საშუალებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაკავშირებულ მხარეზე გასცა 100,000 ლარის სესხები და მოხდა გაცემული სესხის დაფარვა 50,000 ლარის ოდენობით.

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა წინა პერიოდებში დაშვებული შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად. შეცდომების გასწორების შედეგად 2022 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება და 2022 წლის წმინდა მოგება არ შეცვლილა.

2024

კომპანია:

შპს ჯორჯიან

ფუდ

ქორფორეიშენი

აუდიტორი: შპს

ქროუ ჯი

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6
სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ.....	14
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	14
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები.....	15
7. ფინანსური აქტივები	15
8. მარაგები	15
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	16
10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი.....	16
11. ამონაგები.....	16
12. სხვა შემოსავლები.....	17
13. მიწოდების ხარჯები.....	17
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
15. სხვა ხარჯები	17
16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები.....	18
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19
18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება	19

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენის მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენის (კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2024 წლის 16 აგვისტოს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2023 წლის დასაწყისში და დასასრულს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციებს. ვერ დავრწმუნდით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები, საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია თეიმურაზ ფარცხალაძე.

თეიმურაზ ფარცხალაძე
მმართველი პარტნიორი,
„შპს ქროუ ჯი“

აქსის ბიზნეს ცენტრი, მე4 სართული
დ. გამრეკელის ქ. 2, 0160 თბილისი, საქართველო

17 დეკემბერი 2024

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების	5	3,682	1,621
ეკვივალენტები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	3,297,565	3,231,522
ფინანსური აქტივები	7	395,000	-
მარაგები	8	2,416,408	1,397,248
საგადასახადო აქტივები		81,982	312,654
		6,194,637	4,943,045
მთლიანი აქტივები		6,194,637	4,943,045
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	3,166,608	4,044,530
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი	10	2,151,520	-
პროცენტი			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		430	798
		5,318,558	4,045,328
მთლიანი ვალდებულებები		5,318,558	4,045,328
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი		876,079	897,717
ზარალი)			
		876,079	897,717
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,194,637	4,943,045

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	11	23,921,562	17,143,988
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(23,324,839)	(16,362,896)
საერთო მოგება		596,723	781,092
სხვა შემოსავლები	12	468,147	8,317
მიწოდების ხარჯები	13	(21,398)	(6,976)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(261,214)	(113,990)
სხვა ხარჯები	15	(412,079)	(63,942)
მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან - წმინდა		(287,188)	65,325
საოპერაციო მოგება		82,991	669,826
ფინანსური დანახარჯები	10	(104,629)	(119,033)
მოგება დაბეგვრამდე		(21,638)	550,793
პერიოდის მოგება		(21,638)	550,793

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებიდან მიღებული ფულადი სახსრები	25,970,253	21,267,920
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	23,264	972
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(23,023,213)	(16,748,124)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(69,010)	(42,360)
ბიუჯეტში გადახდილი სხვა თანხები	(4,360,839)	(3,489,625)
სხვა საოპერაციო ფულადი გასავლები	(111,245)	(81,636)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,570,790)	907,147
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(695,000)	-
გაცემული სესხის ამოღება	300,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(395,000)	-
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	3,171,960	90,000
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(1,072,937)	(859,000)
გადახდილი პროცენტები	(104,629)	(129,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1,994,394	(898,000)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ნეტო ზრდა	28,604	9,147
არარეალიზებული მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში	(26,543)	(9,663)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	1,621	2,137
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	3,682	1,621

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2021	346,924	346,924
კაპიტალის ზრდა	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-
პერიოდის მოგება	550,793	550,793
გაცემული დივიდენდი	-	-
ნაშთი 31.12.2022	897,717	897,717
კაპიტალის ზრდა	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-
პერიოდის მოგება	(21,638)	(21,638)
გაცემული დივიდენდი	-	-
ნაშთი 31.12.2023	876,079	876,079

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბერს

ლეილა ქავთარაძე

დირექტორი, შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2020 წლის 29 მაისს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს გუდვილ ინვესტი, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ლეილა ქავთარაძე.

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკვები პროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქ., N31, ბ.9.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 17 დეკემბრის.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება პირველი შემოსავალში, პირველი გასავალში (ფიფო) ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან და გაცემული სესხებისგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო ფინანსურ აქტივებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა

გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბრის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად გადასახადების გადახდა ხდება გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,359	192
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,323	1,429
სულ	3,682	1,621

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,383,924	2,651,946
გაცემული ავანსები	637,641	579,553
მოთხოვნები თანამშრომლების მიმართ	276,000	23
სულ	3,297,565	3,231,522

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული (2022 წელს 0 ლარი).

7. ფინანსური აქტივები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
დაკავშრებულ მხარეზე გაცემული სესხები (შენიშვნა 16)	395,000	-
სულ	395,000	-

გაცემული სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9%, სესხების დაფარვის ვადა მეტია 12 თვეზე.

სესხები არ არის უზრუნველყოფილი და არ არის გაუფასურებული.

8. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	613,591	385,940
საქონელი გზაში	1,802,277	1,011,308
სხვა მარაგები	540	-
სულ	2,416,408	1,397,248

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 23,324,839 ლარი (2022 წელს 16,362,896 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

კომპანიის არსებული და მომავალი მარაგები გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები	2,726,785	828,656
მიღებული ავანსები	439,823	3,215,874
სულ	3,166,608	4,044,530

10. მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	31.12.2023	31.12.2022
მოკლევადიანი სესხები	2,151,520	-
სულ მოკლევადიანი სესხები	2,151,520	-
სულ სესხები	2,151,520	-

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია დოლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8%, სესხების დაფარვის ვადა ნაკლებია 12 თვეზე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის მარაგებით და არსებული და მომავალი მოძრავი ქონებით და არამატერიალური აქტივებით, აგრეთვე დამფუძნებლის ოჯახის წევრების და კომპანიის დაკავშირებული მხარეების უძრავი ქონებით (მიწა და შენობები) და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(104,629)	(119,033)
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(104,629)	(119,033)

11. ამონაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	23,921,562	17,143,988
სულ	23,921,562	17,143,988

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

12. სხვა შემოსავლები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი კრედიტ ნოტებიდან	13,792	8,317
შემოსავალი ავტომობილების მიწოდებიდან	454,355	-
სულ	468,147	8,317

13. მიწოდების ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
საიჯარო ქირა	(21,367)	(6,854)
ტრანსპორტირების ხარჯები	(31)	(122)
სულ	(21,398)	(6,976)

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	(110,306)	(68,767)
მივლინების ხარჯები	(84,425)	(14,589)
საწვავის ხარჯი	(803)	-
კომუნიკაციის და კომუნალური ხარჯები	(5,455)	(2,962)
დაზღვევის ხარჯები	(159)	-
რემონტის ხარჯები	(1,610)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(16,175)	(12,705)
საბანკო ხარჯები	(25,198)	(13,765)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(13,350)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(3,733)	(1,202)
სულ	(261,214)	(113,990)

15. სხვა ხარჯები

(თანხები მოცემულია ლარში)	2023 წელი	2022 წელი
მიწოდებული ავტომობილების თვითღირებულება	(386,979)	-
ჯარიმა და საურავი	(8,909)	(8,665)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(16,191)	(55,277)
სულ	(412,079)	(63,942)

16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია შპს გუდვილ ინვესტი. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ლეილა ქავთარაძე.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დამფუძნებლის ოჯახის წევრების და კომპანიის დაკავშირებული მხარეების უძრავი ქონებით (მიწა და შენობები) და თავდებობით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ანგარიშგების მუხლი	2023 წელი	2022 წელი
<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>			
მომსახურების მიღება	მარაგები	1,299,687	1,076,599
საქონლის მიწოდება	ამონაგები	4,119,789	5,442,039
<i>ჯგუფის კომპანიები</i>			
საქონლის მიწოდება	ამონაგები	19,801,774	11,636,620
ავტომობილების მიწოდება	სხვა შემოსავალი	454,355	-

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

(თანხები მოცემულია ლარში)	ანგარიშგების მუხლი	31.12.2023	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებული მხარეები</i>			
სავაჭრო მოთხოვნა	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,383,924	2,651,946
გადახდილი ავანსი	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	11,304
სავაჭრო ვალდებულება	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	275,918	-
<i>ჯგუფის კომპანიები</i>			
მიღებული ავანსი	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	439,823	3,215,875

სხვა დაკავშირებულ მხარეებს აკონტროლებენ კომპანიის დამფუძნებლის ოჯახის წევრები და ახლობლები.

დაკავშირებული მხარეებისგან ხდება სატრანსპორტო მომსახურების შეძენა. დაკავშირებულ მხარეებთან ვალდებულებები არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

დაკავშირებულ მხარეზე ხდება საქონლის მიწოდება. დაკავშირებულ მხარესთან მოთხოვნები არ არის უზრუნველყოფილი და არ ერიცხება საპროცენტო სარგებელი. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნული მოთხოვნების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია (2022 წელს 0 ლარი).

დაკავშირებულ მხარეებისგან მიღებული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
<i>სხვა დაკავშირებულ მხარისგან მიღებული სესხები:</i>		
საწყისი ნაშთი	-	895,647
პერიოდის განმავლობაში მიღებული სესხები	-	124,720
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(856,890)
დარიცხული პროცენტი	-	99,251
გადახდილი პროცენტი	-	(262,728)
საბოლოო ნაშთი	-	-

შპს ჯორჯიან ფუდ ქორფორეიშენი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დაკავშირებული მხარეებისგან სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 24%-ს წლიურად. სესხების დაფარვის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. სესხები არ არის უზრუნველყოფილი.

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31.12.2023	31.12.2022
სხვა დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხი:		
საწყისი ნაშთი	-	-
პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები	695,000	-
პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები	(300,000)	-
დარიცხული პროცენტი	-	-
მიღებული პროცენტი	-	-
საბოლოო ნაშთი	395,000	-

გაცემული სესხები დენომინირებულია ლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9%, სესხების დაფარვის ვადა მეტია 12 თვეზე. სესხები არ არის უზრუნველყოფილი და არ არის გაუფასურებული.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე ანაზღაურება არ გაცემულა.

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ შეიძინა მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებები, კერძოდ 549,140 ლარის სატრანსპორტო საშუალებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დაკავშირებულ მხარეზე გასცა 100,000 ლარის სესხები და მოხდა გაცემული სესხის დაფარვა 50,000 ლარის ოდენობით.

18. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ აღმოაჩინა წინა პერიოდებში დაშვებული შეცდომები. აღნიშნული შეცდომების გასწორება მოხდა რეტროსპექტულად. შეცდომების გასწორების შედეგად 2022 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგება და 2022 წლის წმინდა მოგება არ შეცვლილა.